# United Power Energy LLC

**N 02/21-01** **21 თებერვალი 2023**

**სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს**

გაცნობებთ, რომ შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯი" ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდ. დევაშზე გეგმავს დერივაციული ტიპის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე მცირე სიმძლავრის (5,45 მგვტ) ჰიდროელექტროსადგურის - „დევაში ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ პუნქტი 22 – „5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია". ჰესის დადგმული სიმძლავრიდან გამომდინარე პროექტი სკრინინგის ეტაპის გარეშე პირდაპირ ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ მდ. დევაშზე დაგეგმილი „დევაში ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშს. ასევე საწრმოგიდგენთ „დევაში" ჰესზე მთვარობის განკარგულებას და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო"-ს და კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ელექტრონული კოორდინატები.
- მთავრობის განკარგულება
- მთავრობასთან ხელშეკრულება

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-9 მუხლის შესაბამისად გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

**პატივისცემით,**
**შპს „იუნაითიდ ფაუერ ენერჯი"**

**ნანა ყვიჩიშვილი**
**დირექტორი**

სს „გარემოს ეროვნული სააგენტო"
„21" „02" 2023
№ 1372